ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 3-12/14328228-16

"08" 01 2015 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, ქუჩა იოსებიძის, №49, (ნაკვ.17/1); ქალაქი თბილისი, ქუჩა იოსებიძის, № 49, (ნაკვ.17/1) /ქალაქი თბილისი, ქუჩა ქუთათელის (ყოფ.შჩორსის), №3-ში (საკ. კოდი №01.10.13.017.053) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (საოფისე შენობის რეკონსტრუქცია) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – № 1303407 02.06.2014წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, ქუჩა იოსებიძის, №49, (ნაკვ.17/1); ქალაქი თბილისი, ქუჩა იოსებიძის, № 49, (ნაკვ.17/1) /ქალაქი თბილისი, ქუჩა ქუთათელის (ყოფ.შჩორსის), №3-ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ფასადებზე შეცვლილია არსებული შენობის და საპროექტო დაშენების კედლების ფერი. შეცვლილია კარნიზების მოწყობა. +14.95 ნიშნულზე არსებული ღიობები არ არის შევსებული.

ფასადი ა-დ ღერძებში: ბ-გ მონაკვეთში შემცირებულია ფანჯრის გაბარიტი.

ფასადი დ-ა ღერძებში: ბ-ა მონაკვეთში დამატებულია გამწოვი მილები. გ-ბ მონაკვეთში შემცირებულია ფანჯრის გაბარიტი.

ფასადი 7-1 ღერძებში: წვიმის წყლის მილებს მონაცვლებული აქვს ადგილი.

შენობის შიგნით სართულებზე 1-2 მონაკვეთში არ არის მოწყობილი ლიფტის შახტა, +13.20 ნიშნულზე კიბის უჯრედში არ არის დემონტირებული სართულშუა გადახურვა, რის გამოც არ არის მოწყობილი კიბის ერთი მარში.

ტექნიკურ სართულზე მზიდ კედლებში მოწყობილია ღიობები, 61-61 ღერძზე დამატებულია ლითონის კონსტრუქცია (ფერმა). ზოგიერთ ადგილას დამატებულია რიგელები. გაზრდილია სიმაღლე 25 სმ-ით. ჭრილის ნახაზების მიხედვით +14.95 ნიშნულზე მონოლითური ფილის ნაცვლად მოწყობილია ანაკრები კონსტრუქციით (სიმკარი) გადახურვა. +14.95 ნიშნულზე 2-3 და 5-6 მონაკვეთებში კიბის უჯრედებში შეცვლილია საფეხურების მოწყობა. შემცირებულია ბ-ბ და გ-გ ღერძებს შორის მანძილი. +19.20 ნიშნულზე სამანქანოებში დამატებულია კოლონები და რიგელები, ასევე შემცირებულია კედლების სისქე. შემცირებულია კარების გაბარიტი და ნახატი. 5-5 ღერძზე ბ-ბ ღერძთან დამატებულია ფრამუგა. გაზრდილია სამანქანოს სივრცეების სიმაღლე 20 სმ-ით. 2-3 მონაკვეთში დამხმარე სათავსოში ერთიანი ვიტრაჟების ნაცვლად მოწყობილია ორი კარი და ორი ვიტრაჟი. სახურავზე დამატებულია კონდიციონერები, ჩილერები, გამწოვები, სატელიტური ანტენები და წვიმის წყლის მილები. არ არის მოწყობილი მცირე ზომის გამწოვი შახტები და ორი ლითონის კიბე. შეცვლილია პარაპეტის და ლითონის მოაჯირის სიმაღლე, ასევე შეცვლილია მოაჯირის ნახატი.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მ. მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „პ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის, მე-2 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

1. შპს „ფასადი“-ს, ნიკოლოზ სიფრაშვილს, ქ. თბილისში, ქუჩა იოსებიძის, №49, (ნაკვ.17/1); ქალაქი თბილისი, ქუჩა იოსებიძის, № 49, (ნაკვ.17/1) /ქალაქი თბილისი, ქუჩა ქუთათელის (ყოფ.შჩორსის), №3-ში (საკ. კოდი №01.10.13.017.053) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (საოფისე შენობის რეკონსტრუქცია) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: № 12/14328228-16 24.11.2014წ. განცხადება.

უფროსის პირველი მოადგილის
მოვალეობის შემსრულებელი

დავით მედულაშვილი